

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N14 - ბარათის 3D მომსახურება

1. **ბარათის 3D უსაფრთხოება** წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბარათებით ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
2. **ბარათის 3D უსაფრთხოების** გააქტიურება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ VISA და MasterCard საგადახდო სისტემის ბარათზე.
3. **განაცხადში კლიენტი/ბარათის მფლობელი** მიუთითებს მობილური ტელეფონის ნომერს ან/და Digipass-ს, რომელზეც მის მიერ ინტერნეტით (ონლაინ) გადახდის/გადარიცხვის განხორციელებისას გაიგზავნება ერთჯერადი კოდი, შესაბამისი გადახდის/გადარიცხვის განხორციელების დამატებითი დადასტურებისათვის.
4. თუ კლიენტს/ბარათის მფლობელს გააქტიურებული აქვს ბარათის 3D უსაფრთხოება, გადახდის/გადარიცხვის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მიღებული ერთჯერადი კოდით დამატებით დადასტურების განხორციელების შემდგომ, იმ შემთხვევაში თუ ასეთი მხარდაჭერით აღჭურვილია შესაბამისი ვებ-გვერდი.
5. **ბარათის 3D უსაფრთხოება** მოქმედებს მისი გააქტიურებიდან ბარათის მოქმედების ვადის ბოლომდე ან წინამდებარე დანართით გათვალისწინებული წესით დეაქტივაციამდე.
6. **ბარათის 3D უსაფრთხოების** დეაქტივაცია ხორციელდება ბანკისათვის შესაბამისი განაცხადის წარდგენის გზით.